

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა



GENEX

სენბი

2022 წლის ანგარიში

გენერალური დირექტორის მიმართვა

მოგესალმებით, ძვირფასო მკითხველებო.

ძალიან საინტერესო და გამოწვევებით სავსე 2022 წელი სრულდება და მსურს, ჩვენი გუნდის სახელით, წარმოგიდგინოთ სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

მოგეხსენებათ, რომ სენბი წარმოადგენს დღით ადრე და დღიური ბაზრების ლიცენზირებულ, ერთადერთ ოპერატორს საქართველოში და, შესაბამისად, ჩვენი საქმიანობაც 2022 წელს სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ბაზრის მოდელის კონცეფციით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლა და, შესაბამისად, დღით ადრე ბაზრის ამოქმედება 2023 წლის 31 მარტამდე გადავადდა, ჩვენ არ შეგვიწყვიტავს მუშაობა ბაზრების განვითარების მიმართულებით და მომზადებულები ვხვდებით ახალ თარიღს – დღით ადრე და დღიური ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზა სრულყოფილია და როგორც სავაჭრო პლატფორმა, ასევე სენბის შიდა პროცესები გამართულია.

ბაზრის ახალი მოდელის გადავადებამ შესაძლებლობა მოგვცა, დღით ადრე ბაზარი უფრო ხანგრძლივი დროით გვემუშავებინა სატესტო რეჟიმში, რამაც გაცილებით ეფექტიანი და ხარისხიანი გახდა ბაზრის მონაწილეების ჩართულობა პროცესში. შედეგად, შესაძლებელი გახდა შეგვეფასებინა ბაზრის ახალი მოდელის მუშაობის სეზონურობა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და გამოგვევლინა და რეაგირება მოგვეხდინა ყველა იმ რისკზე, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნებოდა რეალურ ბაზარზე.

2022 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ბაზრის ახალი მოდელის მიმართ. განსაკუთრებით წლის ბოლოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული არსებითი ცვლილებების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ახალი ბაზარი.

შავი ზღვაში მაღალი დაბვის ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობის პროექტის განვითარება ფიზიკურად დააკავშირებს საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას ევროპულ ენერგეტიკულ სისტემასთან. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდება ენერგეტიკული ბაზრების თავსებადობის საკითხი სავაჭრო შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისების კუთხით.

ამავე კონტექსტში, არანაკლებ მნიშვნელოვანია განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის ახალი სქემა, რომელმაც მომდევნო 3 წელიწადში დამატებით 1500 მგვტ სიმძლავრე უნდა მისცეს ქვეყანას და რომლის ეფექტიანი ინტეგრირება სწორედ ბაზრის ახალ მოდელში უნდა მოხდეს.

დარწმუნებული მაქვს, რომ საერთო ძალისხმევით 2023 წლიდან ელექტროენერგიის ქართული ბაზრის მონაწილეებისათვის შესაძლებელი იქნება ვაჭრობა ევროპული მოდელის შესაბამის ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე, რომელიც ქმნის ახალ შესაძლებლობებს.

ბედნიერ და წარმატებულ ახალ წელს გისურვებთ!



საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა



კომპანიის შესახებ

სს "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა" (სენბი) დაფუძნდა 2019 წლის 4 დეკემბერს (ს.კ. 404589432), სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის" თანაბარი თანამონაწილეობით.

სენბის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს:

- დღით ადრე ბაზრის ოპერირება;
- დღიური ბაზრის ოპერირება;
- ორმხრივი ხელშეკრულებების (ფორვარდული) ბაზრის ოპერირება;
- დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა.

მისია

ელექტროენერგიის ბაზრის ეფექტიანი ოპერირებით, გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სწორი საფასო სიგნალების მიწოდება ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისათვის.

ხედვა

საქართველოს ბირჟა არის ელექტროენერგიით ვაჭრობის ადგილი არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე მიწოდების მიზნით, არამედ წარმოადგენს რეგიონულ ჰაბს, რომელიც გამოიყენება დაკავშირებული ბაზრების მონაწილეების მიერ ტრანსასასაზღვრო ვაჭრობისათვის.

სენბის გუნდი



**ირაკლი
გალდავა**

გენერალური
დირექტორის
მoadგილე



**თამარ
ბარსონიძე**

მთავარი იურისტი



**ეკა
ლოლუა**

საერთაშორისო
მდივანი



**გუგა
კუპრაძე**

ბაზრის
ანალიტიკოსი



**დათო
ჯოგიაშვილი**

სავაჭრო ოპერაციების
ოფიცერი



**ლია
ჯოხაძე**

ბაზრის
ანალიტიკოსი



**თეონა
შაკაია**

ბაზრის
ანალიტიკოსი



**ნინო
ჩიხრაძე**

ბაზრის
ანალიტიკოსი



**ნანო
ბლიაძე**

საკლირინგო
ოპერაციების ოფიცერი



**ვერიკო
კავთიაშვილი**

საკლირინგო
ოპერაციების ოფიცერი



დღით ადრე ბაზრის პოტენციური მოცულობა



2020 წლის 16 აპრილს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად, ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზრებზე ლიკვიდურობისა და კონკურენტული ფასის ფორმირებისთვის, ასევე, ბაზრის ეფექტიანი და მდგრადი ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრულია იმ სუბიექტების ჩამონათალი, რომლებიც ვალდებული არიან სრული მოცულობით ივაჭრონ ბირჟაზე:

წარმოების მხარე

- საჯარო მომსახურების ვალდებულების გამწევი სადგურები;
- საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) მექონე მწარმოებლების ენერგიის რეალიზაციის ნაწილში.

მოხმარების მხარე

- უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი;
- ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი;
- საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია – აფხაზეთის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში;
- სისტემის ოპერატორები დანაკარგების შესყიდვის ნაწილში.



ბაზრის გახსნის ძირითადი გამოწვევები



ბირჟის ოპერატორის პერსპექტივიდან



1 სავაჭრო პლატფორმა

ტექნიკურად გამართული სავაჭრო პლატფორმა, რომელიც იმუშავებს შეუფერხებლად და, ამასთანავე, ექნება ნდობის მაღალი ხარისხი.

2 მონაწილეების ცოდნა და ინფორმირებულობა

ბაზრის წარმატებული მუშაობისთვის, აუცილებელია მონაწილეების შესაძლებლობების განვითარება და ვაჭრობისათვის საჭირო უნარების დახვეწა.

3 ბაზრის ეფექტიანი მონიტორინგი

ბაზარზე მანიპულაციების თავიდან არიდების მიზნით, ბაზრის ზედამხედველობა და მონიტორინგი იძენს კრიტიკულ მნიშვნელობას.

4 სინქრონიზაცია

ბაზრების გამართული ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბითუმო ვაჭრობის მონაწილე და ჩართული ყველა რგოლი მუშაობდეს ჰარმონიულად.

დღით ადრე ბაზრის სიმულაცია



**ბაზრის რეალური ფუნქციონირებისას მოსალოდნელი
რისკების გამოვლენის და დაზღვევის საშუალება**

2021 წლის ოქტომბრიდან **დღით ადრე** და **საბალანსო და დამხმარე მომსახურებების** ბაზრებზე ერთობლივი სატესტო ვაჭრობა მიმდინარეობს რეალურ ვაჭრობასთან მაქსიმალურად დაახლოებული სცენარით.

სატესტო ვაჭრობებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც დარეგისტრირებულნი არიან საბალანსო ბაზრის ოპერატორთან, დაბალანსების ჯგუფში.

დღით ადრე ბაზრის სიმულაციის სამი კომპონენტი

ტრენინგები

ტრენინგების მიზანია მონაწილეებს გადაეცეთ, როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება, ბირჟაზე ვაჭრობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განსავითარებლად. მონაწილეთა უნარების დახვეწა უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რადგან ერთი მონაწილის არასწორმა ქმედებამ, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს დღით ადრე ბაზრის ფასის ფორმირებაზე.

დღემდე ბირჟის ოპერატორის ორგანიზებით, გაიმართა სულ 9 ტრენინგი.

სატესტო ვაჭრობა

მონაწილეებს დაშვება აქვთ სატესტო სავაჭრო პლატფორმაზე. მათთვის შექმნილი ანგარიშების მიხედვით, მათ ეძლევათ საშუალება განათავსონ განაცხადები და ამ გზით, გაიღრმავონ პლატფორმაზე მუშაობის პრაქტიკული უნარები. გარდა ამისა, დატესტონ სავაჭრო სტრატეგიები და დააკვირდნენ დღით ადრე ბაზარზე ფასწარმოქმნისა და ანგარიშსწორების პროცესს.

2022 წელს სატესტო რეჟიმში ვაჭრობს სულ 59 მონაწილე.

სერთიფიცირება

ელექტრონერგიის ბაზრის წესების მიხედვით, მონაწილის სავაჭრო წარმომადგენელს გავლილი უნდა ჰქონდეს სენბის მიერ ორგანიზებული საკვალიფიკაციო გამოცდა. სულ ჩატარდა 8 ასეთი გამოცდა.

2022 წელს ჩატარდა 3 საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელშიც მონაწილეობდა 40-ზე მეტი დაინტერესებული პირი.

ჯამში, სულ სერთიფიცირებულია 100-ზე მეტი პირი.



ბირჟაზე ვაჭრობის რეგულირება



წესები და გზამკვლევები



ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებისა და ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ 2022 წელს დაამტკიცა შემდეგი დოკუმენტები:

- ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ განცხადების შევსებისა და წარდგენის წესი;
- ფინანსური ანგარიშსწორების წესი, სენბის ბაზრების მონაწილეებისათვის;
- გარანტიის მიმართ მოთხოვნები;
- საბანკო გარანტიის ფორმა;
- სარეზერვო აკრედიტაციის ფორმა;
- შეთანხმება მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის შიდა ინფორმაციის პლატფორმით სარგებლობის წესები;
- საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე რეგისტრაციის ფორმა;
- შიდა ინფორმაციის პლატფორმის გზამკვლევი;
- პლატფორმის აუქციონის სისტემით მოსარგებლის გზამკვლევი;
- პლატფორმის კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის მომხმარებლის გზამკვლევი;
- ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზრის წონასწორობის წერტილის დადგენის წესის შეთანხმების წესი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან შეთანხმებით;
- ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის წესები.

მონაწილეთა ქცევაზე დაკვირვება

ბირჟაზე საბაზრო ფასს განსაზღვრავს ელექტროენერგიაზე მოთხოვნა და მისი მიწოდება. თავის მხრივ, მოთხოვნასა და მიწოდებას განსაზღვრავენ მონაწილეები, რომლებიც ბაზარზე ათავსებენ ელექტროენერგიის ყიდვისა და გაყიდვის განაცხადებს. მონაწილეებს შესაძლოა ჰქონდეთ მოტივაცია და შესაძლებლობა, მოახდინონ ზემოქმედება საბაზრო ფასზე, ელექტროენერგიის ყიდვისა თუ გაყიდვის შეთავაზებების ცვილების გზით, გაავრცელონ შეცდომაში შემყვანი სიგნალები და ა.შ.

იმისთვის, რათა ბაზარმა შეასრულოს მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, გააგზავნოს სწორი და სანდო საბაზრო სიგნალები, უნდა არსებობდეს ნდობა ბაზრისა და მასზე ჩამოყალიბებული ფასის მიმართ.

იმისთვის, რათა მოხდეს მონაწილეთა მიერ არასაბაზრო ქმედებების ან მისი მცდელობების გამოვლენა, სენბის ყავს ბაზრის მონიტორინგის გუნდი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში დააკვირდება მონაწილეთა ქცევას, მის ცვლილებას და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს ზომებს, რომელიც განსაზღვრულია სენბის და ნორდ პულ კონსალტინგის მიერ ერთობლივად შემუშავებული ბაზრის მონიტორინგის პოლიტიკით.

ბაზარზე მონაწილეთა ქცევაზე დაკვირვების მიზნით გაზიარებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, მორგებულია ქართული ბაზრის სპეციფიკაზე და გამოყენებულია ტექნიკური შესაძლებლობები, რომლებიც იძლევა მონიტორინგის ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების საშუალებას. მონიტორინგის ფუნქციის შესასრულებლად უკვე განსაზღვრული შესაბამისი ინდიკატორები და შექმნია პროგრამული პაკეტი, რომელიც მორგებულია სენბის საჭიროებებს.



შიდა ინფორმაციის პლატფორმა

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მონაწილეები ვალდებული არიან დაიცვან ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრების მთლიანობისა და გამჭვირვალობის, აგრეთვე, კონკურენციის პრინციპები, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესით.

ენერგეტიკული მონიტორინგის წესი ავალდებულებს ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებს, რომ ელექტროენერგეტიკულ სექტორთან დაკავშირებული შიდა ინფორმაცია გაასაჯაროონ ბირჟის ოპერატორის შიდა ინფორმაციის პლატფორმაზე.

სწორედ ამ მიზნით, სენბიმ შეიმუშავა შიდა ინფორმაციის პლატფორმა – <https://umm.genex.ge/>, რაც არის ნებისმიერი შიდა ინფორმაციის გამოქვეყნების ადგილი და დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ თვალი მიადევნონ გამოქვეყნებულ იშეტყობინებებს. პლატფორმაზე რეგისტრაციისათვის არ მოითხოვება დამატებითი საფასურის გადახდა და იგი ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის, ვინც შეიძლება ფლობდეს შიდა ინფორმაციას და ჰქონდეს მისი გამოქვეყნების ვალდებულება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პლატფორმაზე რეგისტრაციის პროცესი. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საოპერაციო შეტყობინებების UMM პლატფორმაზე რეგისტრირებულია 32 მონაწილე.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

შიდა ინფორმაციის პლატფორმა

CET 14:43

GEO 16:43

საბაზისი

ბაზალური თარიღი

მონაწილე

მოქმედი

გაქვს

გაქვს

ძიება

ბაზალური თარიღი	ბაზალური თარიღი	საბაზისი თარიღი	აღივანი დასახელება	ხელმოწერით სიმართლა (მმმ)	დადასტურებული სიმართლა (მმმ)	ბაზალური თარიღი	ბაზალური დასახელება	ბაზალური
გაქვს	გაქვს	გაქვს						
სიმართლის შედეგად	ნარმოების ხელმოწერით	პროდუქტის (გამოწმის წყარო)	საოლქო ენერგი (საბაზისი)	20.7	21	11/07/2022 15:00	12/07/2022 23:00	12/07/2022

მონაწილეთა რეგისტრაცია



პორტალი

დღით ადრე და დღიურ ბაზარზე მონაწილედ რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების“ შესაბამისად.

სენბის მონაწილეთა რეგისტრაციის პორტალის მეშვეობით, დღით ადრე და დღიური ბაზრის მონაწილეებს საშუალება აქვთ, პირდაპირ, სენბის ვებ-გვერდიდან შეავსონ ბირჟაზე მონაწილედ რეგისტრაციის სააპლიკაციო განაცხადი.

გამომდინარე იქიდან, რომ სენბის სატესტო სავაჭრო სივრცეში რეგისტრაცია არ ნიშნავდა ავტომატურად ბირჟის მონაწილედ ყოფნას, სენბიმ 2022 წლის აგვისტოდან დაიწყო რეალურ სავაჭრო პლატფორმაზე დღით ადრე ბაზრის მონაწილეების რეგისტრაცია.



**საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა**
შეასაბუთო და წარმართვის დანი

ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზარზე მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ განცხადება

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ
02

სახელწოდება (ქართულად)	სახელწოდება (ლათინური ასოებით)
<input type="text"/>	<input type="text"/>
საიდენტიფიკაციო კოდი	ელექტრონული ფოსტის მისამართი
<input type="text"/>	<input type="text"/>
იურიდიული მისამართი	
შეზღუდვა:	დასახლებული პუნქტი:
<input type="text"/>	<input type="text"/>
მისამართი:	საფოსტო ინდექსი:
<input type="text"/>	<input type="text"/>

დღით ადრე ბაზარზე რეგისტრირებული კომპანიები

შპს ენგურჰესი
შპს ვარდნილჰესების კასკადი
სს ხრამჰესი I
სს ხრამჰესი II
შპს მტკვარი ენერჯი
სს თელასი
შპს თბილისის ელექტრომომწოდებელი
კომპანია
შპს ფოვერ თრეიდინგ კომპანი
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
შპს რუსთავის წყალი
შპს საქართველოს საერთაშორისო
ენერგეტიკული კორპორაცია
სს ენერგო პრო ჯორჯია
სს ენერგო პრო გენერაცია
სს ეპ ჯორჯია მიწოდება
შპს ჯი ფაუერი
შპს გარდაბნის თბოსადგური 2
სს საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემა
სს სვანეთი ჰიდრო
შპს გეოენერჯი
შპს ჯიარპისი თრეიდი
შპს ვარციხე 2005
შპს ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯია
შპს ოლდ ენერჯი
შპს პარვუს ჯგუფი
სს აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია
სს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა
შპს ჯორჯიან მანგანები

შპს თბილისის საინვესტიციო ჯგუფი
სს საქართველოს რკინიგზა
შპს ბახვი ჰაიდრო პაუერ
შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII
სს ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი
შპს ლილო-მოლი
შპს მარტანი-5
შპს ბი ეფ დი სი ჯორჯია
შპს ელექტროენერგიის ტრეიდერი
შპს ი-თი სინერგია
შპს საქართველოს მელიორაცია
სს რუსთავის აზოტი
შპს თრეიდინგ სოლუმენი
შპს საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
შპს მეტალლაინი
შპს ქისტოუნ ქონსალთინგ
სს RMG Copper
შპს ქისკო
ი/მ ანა იოსელიანი
შპს ორბი ჯგუფი ბათუმი
შპს Weekend
შპს შავი ზღვის ტერმინალი
სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური
შპს გარდაბნის თბოსადგური
შპს ჯი თი ემ გრუპი
შპს რუსთავის ფოლადი
შპს ენერჯი თრეიდინგ გრუპი

დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილეობის საფასური

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2022 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე, კომისიის დადგენილებით, დამტკიცდა ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური:

- დღით ადრე ბაზარზე დაშვების - 6000 ლარი/წელი;
- დღიურ ბაზარზე დაშვების - 2000 ლარი/წელი;
- დღით ადრე ბაზარზე დამატებითი პორტფელის - 500 ლარი/წელი;
- დღიურ ბაზარზე დამატებითი პორტფელის - 500 ლარი/წელი;
- დღით ადრე ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიის - 0.161 ლარი/მგვტ.სთ;
- დღიურ ბაზარზე ნავაჭრი ელექტროენერგიის - 0.155 ლარი/მგვტ.სთ.



დღით ადრე ბაზრის გახსნა



ვაჭრობის პირველი დღე

ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად, 2023 წლის 31 მარტიდან, სენბიმ უნდა უზრუნველყოს დღით ადრე ბაზრის ოპერირება



მონაწილეთა რეგისტრაცია

დღით ადრე ბაზრის მონაწილედ რეგისტრაციისთვის ბირჟის ოპერატორს დარეგისტრირებული ყავს 56 რეალური ბაზრის მონაწილე.

NORD
POOL



გარანტიების მართვა

შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარმდგენის გარეშე, მონაწილეები განაცხადის განთავსებას სავაჭრო პლატფორმაზე ვერ შეძლებენ. პროცესი ავტომატურია და კონტროლდება სავაჭრო პლატფორმაში ჩაშენებული ე.წ. "ლიმიტის შემოწმების" ფუნქციონალით.



სავაჭრო პლატფორმა

სავაჭრო პლატფორმის მომსახურებას გასწევს ნორდ პული, მსოფლიოში პირველი ენერგეტიკული ბირჟის ავტორი კომპანია. ნორდ პული ოპერირებს ევროპის 16 ქვეყანაში.



სენბის გუნდი

2022 წლის ბაფხულში სენბიმ ჩამოაყალიბა ბაზრის მონიტორინგის გუნდი, სადაც გაერთიანებულნი არიან ბაზრის მოქმედი ანალიტიკოსები და კლირინგისა და ანგარიშსწორების გუნდი.

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის თითოეული თანამშრომელი, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია ყოველდღიური სიმულაციური ვაჭრობის შედეგების გაანალიზების პროცესში.



დღიური ბაზრის გახსნა



ვაჭრობის პირველი დღე

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დღიური ბაზრის გახსნის ვადა არის 2023 წლის 30 ივნისამდე, სენბი გეგმავს დღიური ბაზრის გახსნას დღით ადრე ბაზართან ერთად.



რატომ უნდა ივაჭრო დღიურ ბაზარზე

დღიურ ბაზარზე ვაჭრობა ხდება ფიზიკურ მიწოდებამდე ერთი საათით ადრე. შესაბამისად, მონაწილეებს აქვთ საშუალება ივაჭრონ დაზუსტებული პროგნოზების შესაბამისად, უფრო მეტად დაიბალანსონ მათი პოზიცია და შესაბამისად, შეიმცირონ მოსალოდნელი უბალანსობა.

დღიური ბაზარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მონაწილეებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ წინა დღეს ისეთი სიზუსტით დაგეგმონ მოხმარება/წარმოება, როგორც მიწოდების/მოხმარების პერიოდის დადგომამდე ერთი საათით ადრე. ასევე, ეს ბაზარი მნიშვნელოვანია გაუთვალისწინებელი შემთხვევებზე რეაგირებისთვის – მოულოდნელი ავარიის გამო ვერ მოიხმართ ნაყიდ ენერგიას? მისი გაყიდვა შესაძლებელია დღიურ ბაზარზე.

დღიური ბაზრის დადგენილ ბოლო ვადაზე ადრე გახსნის მიზანია მონაწილეებს მიეცეთ შესაძლებლობა, უფრო ზუსტად მიუსადაგონ მათი ნავაჭრი ენერგია მათ დაზუსტებულ პროგნოზებს და ამ გზით შეიმცირონ უბალანსობის ხარჯი.



სავაჭრო პლატფორმა

როგორც დღით ადრე ბაზარზე, დღიურ ბაზარზე ვაჭრობა ხდება ნორდ პულის პლატფორმაზე, რომელიც სრულ მზადყოფნაში იქნება ბაზრის გახსნამდე.



მომზადება დღიური ბაზრისთვის

სამართლებრივი ჩარჩო თითქმის სრულად შემუშავებულია. მათ შორის, დასრულებულია ტექნიკური გზამკვლევი, რომელიც გამოქვეყნდება პლატფორმაზე სატესტო ვაჭრობის დაწყებამდე. 2022 წელს უკვე ჩატარდა დღიური ბაზრისთვის დამახასიათებელ ტექნიკურ საკითხებზე ტრენინგი, რომლის განმეორება დაგეგმილია სატესტო ვაჭრობის დაწყებასთან ერთად, 2023 წლის იანვარში.

ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი



სავაჭრო პლატფორმა

სავაჭრო პლატფორმის მომსახურებას გასწევს MTX COMMODITIES, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის ცნობილი პროვაიდერი კომპანია თურქეთიდან. ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმაზე ვაჭრობის მსურველების რეგისტრაცია განხორციელდა 2022 წლის აგვისტოდან, სულ რეგისტრირებულია 12 მონაწილე.



USAID

ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის დანერგვასა და მართვაში სენბის მხარს უჭერს "USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში". საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟასა და USAID-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2022 წლის იანვარში დაიდო.



ტრენინგები

ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმაზე დარეგისტრირებული მონაწილეებისთვის სენბიმ დააორგანიზა თეორიული ტრენინგები და პრაქტიკული ვაჭრობის სესიები.



სიმულაცია

ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობის ელექტრონული-სიმულაციური სივრცე დაინტერესებული მხარეებისთვის ღიაა უკვე ერთ წელია.



ვაჭრობის დაწყება

ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად, 2023 წლის 31 მარტამდე, სენბის მიერ უნდა განხორციელდეს ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ჩამოყალიბება-გამართვა, ტესტირება, პოტენციურ მონაწილეებთან სიმულაციურ რეჟიმში გაშვება და დანერგვა.



სენბის და ნორდ პულის თანამშრომლობა



2022 წლის 31 მარტს საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟასა და ნორდ პულს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობისა და ოპერირების შესახებ შეთანხმებებს. საქართველოს დღით ადრე და დღიური ბაზრები ნორდ პულის მომსახურე ბაზრები გახდნენ.

მხარეები თანხმდებიან დღით ადრე და დღიური ბაზრების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებში თანამშრომლობაზე. შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ ქართული ბაზრის ოპერირება განხორციელდება ნორდ პულის მიერ ოპერირებული სკანდინავიური/ბალტიისპირეთის ბაზრების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, ევროკავშირის სამიზნე მოდელის მიხედვით.

გარდა ამისა, 2022 წლის ივლისში საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით ნორდ პულის სათაო ოფისს ეწვივნენ. ნორდ პულის მხრიდან სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდა ნორდ პულის გენერალური დირექტორი ტომ დარელი, ტექნიკური, ფინანსური და იურიდიული გუნდი.

ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში დღით ადრე და დღიური ბაზრების გაშვებისთვის საბოლოო დეტალების შეთანხმება და ამავე ბაზრების მუშაობის სპეციფიკის გაცნობა ადგილზე.



ენერგეტიკული ბირჟების ასოციაცია



2022 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა ენერგეტიკული ბირჟების ასოციაციის (Association of Power Exchanges – APEX) წევრი გახდა.

APEX არის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც შექმნილია ელექტროენერგიის გლობალური კონკურენტუნარიანი ბაზრების ფუნქციონირების პროცესში, იდეების გენერირებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის. APEX-ის მთავარ მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შესთავაზოს ისეთი პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მათ შესაძლებლობა ექნებათ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით ხელი შეუწყონ მსოფლიო ენერგეტიკული ბირჟების განვითარებას.

ასოციაცია აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის 50-მდე ენერგეტიკული ბაზრის წარმომადგენელს.





ვემნით ახალ შესაძლებლობებს
გაგვიზიარეთ თქვენი ხედვა და მოსაზრებები!



მისამართი

ქ.თბილისი, 0102, კ. ხეთაგუროვის 36



ტელეფონი

+995 32 205 45 88



ვებ-გვერდი

www.genex.ge